საქართველო

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 27 9

27/05/2020

ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების სარგებლობის ფორმის, სარგებლობის ვადის და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და “ე.დ“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილ იქნას მუნიციპალური საკუთრების შემდეგი ობიექტი:
1.1 ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 8320 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.01.24.207);
2. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილ იქნას მუნიციპალური საკუთრების შემდეგი ობიექტი:
2.1 ვანის მუნიციპალიტეტში სოფ. ამაღლებაში მდებარე 1941 კვმ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 361.81 კვმ ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე არსებული 14 კვმ ფართი.
3. პირველი მუხლით ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტის საწყისი ფასი განისაზღვროს შემდეგნაირად:
3.1 ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 8320 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.01.24.207), საწყისი საპრივატიზებო საფასური 702300 (შვიდას ორი ათას სამასი) ლარი;
4. მეორე მუხლით სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში სოფ. ამაღლებაში მდებარე 1941 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 361.81 კვმ ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე არსებულ 14 კვმ ფართზე, განისაზღვროს შემდეგი:
4.1 სარგებლობის ფორმა-იჯარა;
4.2 სარგებლობის ვადა- 2 წელი;
4.3 წლიური საიჯარო ქირის ღირებულება-360 (სამას სამოცი) ლარი.

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერმა (ა. გოგორიშვილმა) უზრუნველყოს საპრივატიზებო ნუსხაში დამტკიცებული ობიექტების პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ.

7. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე